საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

# ადმინისტრაციული მიწერილობა

№ 002687

„16“ ივლისი 2024 წ. ქ. თბილისი
(შედგენის ადგილი)

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სარგებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევების აღმოსაფხვრელი ღონისძიებების გატარების ან რაიმე ქმედებებისაგან თავის შეკავების შესახებ

[illegible] გარემოსდაცვითი ზედამხედველობის
(ადმინისტრაციული მიწერილობის გამცემი ორგანოს დასახელება, იურიდიული მისამართი)
დეპარტამენტი მის: ქ. თბილისი [illegible] №1

ადმინისტრაციული მიწერილობის ობიექტი: შპს „[illegible]“
(ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი, გვარი,
(ს/კ 203828313) მის: ქ. თბილისი, [illegible]
პირადობის მოწმობის ნომერი, საცხოვრებელი ადგილი, იურიდიული პირის შემთხვევაში – იურიდიული პირის სახელწოდება, იურიდიული მისამართი)
[illegible] №10; 2020 წლის 27 თებერვლის №2-770
გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

დარღვევები, რომლებზეც გაიცემა ადმინისტრაციული მიწერილობა: იხილეთ 2024 წლის
16 ივლისის №002687 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი
(დარღვევების ჩამონათვალი, რომლებზეც გაიცემა მიწერილობა)
№1.

გასატარებელი ღონისძიებები: [illegible] ვალდებულია, [illegible] [illegible] [illegible] 1 (ერთი) თვის ვადაში, [illegible] [illegible] [illegible] [illegible]-ების [illegible] და [illegible] [illegible], [illegible] [illegible] და [illegible] [illegible] [illegible] მთავრობის 2015 წლის 4 აგვისტოს №-201 დადგენილებით დამტკიცებული „[illegible] ნარჩენების [illegible] [illegible] [illegible] და [illegible] [illegible]" [illegible], [illegible] და [illegible] [illegible] [illegible], [illegible] ნარჩენების [illegible] [illegible]. [illegible] [illegible] 1 [illegible] [illegible] ნარჩენების [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible].

(დავალების არსი, საჭიროების შემთხვევაში, შესრულების ვადები)

თან ერთვის დანართი: 2 გვერდი.

(დანართის №, გვერდების რ-ბა, დანართების არარსებობის შემთხვევაში დაისმევა z)

პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული მიწერილობის შეუსრულებლობის შემთხვევაში:

ნარჩენების მართვის კოდექსის 43-ე მუხლის მე-2 ნაწილი და ამავე კოდექსის 46-ე მუხლის [illegible] ნაწილის [illegible].

(კანონის მუხლ(ებ)ი, შესაბამისი პუნქტი ან ნაწილი, ქვეპუნქტი)

მიწერილობის გამცემი თანამდებობის პირი: [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] - [illegible] [illegible] [illegible] [illegible]

(თანამდებობა, სახელი, გვარი)

თანამდებობის პირის ხელმოწერა: ნ. [illegible]

ადმინისტრაციული მიწერილობის მიმღები (ივსება პირდაპირი ჩაბარების შემთხვევაში):

[illegible] [illegible].

(რეგულირების ობიექტის წარმომადგენელი პირი, მისი ხელმოწერა და თარიღი)

**2024 წლის 16 ივლისის №002687 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1**

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 2023 წლის 17 ოქტომბრის №DES32300000143 და 2023 წლის 6 ნოემბრის №DES02300000177 ბრძანებების საფუძველზე, დეპარტამენტის უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ, განხორციელდა გარდაბნის მუნიციპალიტეტში განთავსებული, შპს „გარდაბნის გამწმენდი ნაგებობა“-ს (ს/კ 203828313) კუთვნილი, ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციაზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 27 აგვისტოს №2-770 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (2009 წლის 19 ივნისის №65 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა) გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის გეგმიური შემოწმება.

შემოწმების შედეგად გამოვლინდა, რომ შპს „გარდაბნის გამწმენდი ნაგებობა“ ექსპლუატაციისას წარმოქმნილი ნარჩენების მართვას არ ახორციელებდა 2022-2024 წლების პერიოდზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2022 წლის 25 მაისის №5234/01 წერილით შეთანხმებული კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად. კერძოდ:

- დოკუმენტაციის კამერალური დამუშავებით დადგინდა, რომ სახიფათო ნარჩენების ტრანსპორტირების ფორმებში ასახული 20 01 21*, 20 01 33*, 15 02 02*, 16 01 07* კოდით განსაზღვრული ნარჩენები არ არის განხილული კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმაში;
- კომპანიის მიერ 2023 წლის GGN/006, GGN/007, GGN/008, GGN/009, GGN/010, GGN/011, GGN/012 ინვოისებში წარმოდგენილი ინფორმაციით, გარდაბნის გამწმენდი ნაგებობის ტერიტორიიდან, შპს „სანიტარი“-ს მიერ გატანილია 16 03 05* კოდით (ორგანული ნივთიერებები, რომლებიც შეიცავს სახიფათო ნივთიერებებს) განსაზღვრული ნარჩენები. ინფორმაცია გატანილი ნარჩენების შესახებ არ ფიქსირდება ნარჩენების მართვის ელექტრონულ სისტემაში (wms.mepa.gov.ge);
- შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების კომპანიის“ მიერ წარმოდგენილი ნარჩენების განთავსების აქტების შესაბამისად, 2023 წელს გატანილი და მარნეულის ნაგავსაყრელზე განთავსებულია 280 040 ტონა საყოფაცხოვრებო ნარჩენი. თუმცა, ნარჩენების მართვის გეგმაში შერეული მუნიციპალური ნარჩენების (კოდი 20 03 01) სავარაუდო რაოდენობად მითითებულია 1800 კგ. ამავე გეგმის შესაბამისად, 19 08 01 კოდით განსაზღვრული ნარჩენები „სკრინინგები“, წარმოიქმნება - 4 360 000 კგ, ხოლო 19 08 02 კოდით განსაზღვრული ნარჩენები „ნარჩენები ქვიშისაგან გაწმენდისას“ წარმოიქმნება - 4 500 000 კგ. დადგინდა, რომ ზემოთ აღნიშნული „საყოფაცხოვრებო ნარჩენები“ არ არის განხილული ობიექტზე წარმოქმნილი ნარჩენების ნუსხაში.

შემოწმების შედეგად გამოვლენილ დარღვევებზე, 2024 წლის 4 მარტს, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის $79^8$ მუხლის პირველი ნაწილის და $79^7$ მუხლის პირველი ნაწილის, ასევე ნარჩენების მართვის კოდექსის 43-ე მუხლის მე-2 ნაწილის,

შესაბამისად, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №081276 ოქმი, რომელიც განსახილველად გადაეგზავნა გარდაბნის მაგისტრატ სასამართლოს.

სასამართლომ, 2024 წლის 10 აპრილის №4-85-24 დადგენილებით, კომპანია სცნო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის $79^7$ მუხლის პირველი ნაწილით, ამავე კოდექსის $79^8$ მუხლის პირველი ნაწილით და ნარჩენების მართვის კოდექსის 43-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებაში და სახდელის სახით შეუფარდა ჯარიმა - 7 000 ლარის ოდენობით. დღეს არსებული მდგომარეობით, დადგენილება შესულია კანონიერ ძალაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „გარდაბნის გამწმენდი ნაგებობა“-ს მიმართ შემუშავდა დეპარტამენტის 2024 წლის 16 ივლისის №002687 ადმინისტრაციული მიწერილობა.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

# ადმინისტრაციული მიწერილობა

№ 002688

„16“ აგვისტო 20 24 წ. ქ. თბილისი
(შედგენის ადგილი)

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სარგებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევების აღმოსაფხვრელი ღონისძიებების გატარების ან რაიმე ქმედებებისაგან თავის შეკავების შესახებ

სამხრეთ საქართველოს [illegible] - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის
(ადმინისტრაციული მიწერილობის გამცემი ორგანოს დასახელება, იურიდიული მისამართი)
დეპარტამენტი: მ. ქ. თბილისი, ვ. ჩიტაძის ქუჩა №1.

ადმინისტრაციული მიწერილობის ობიექტი: შპს „[illegible]“
(ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი, გვარი,
(ს/კ 203828313) მის: ქ. თბილისი, [illegible] 1-ლი, [illegible]
პირადობის მოწმობის ნომერი, საცხოვრებელი ადგილი; იურიდიული პირის შემთხვევაში – იურიდიული პირის სახელწოდება, იურიდიული მისამართი)
(მხ) [illegible] ქ №10. [illegible]
2020 წლის 27 [illegible] №2-770 გარემოსდაცვითი [illegible].

დარღვევები, რომლებზეც გაიცემა ადმინისტრაციული მიწერილობა: [illegible] 2024 წლის №002688 ადმინისტრაციული [illegible] №1.
(დარღვევების ჩამონათვალი, რომლებზეც გაიცემა მიწერილობა)

გასატარებელი ღონისძიებები: იხილეთ 2024 წლის 16 ივლისის №0026888 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №2.
(დავალების არსი, საჭიროების შემთხვევაში, შესრულების ვადები)

თან ერთვის დანართი: 6 ფურცელი.
(დანართის №, გვერდების რ-ბა, დანართების არარსებობის შემთხვევაში დაისმევა z)

პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული მიწერილობის შეუსრულებლობის შემთხვევაში:

$79^7$ მუხლის და $79^8$ მუხლის [illegible] [illegible] [illegible] [illegible].
(კანონის მუხლ(ებ)ი, შესაბამისი პუნქტი ან ნაწილი, ქვეპუნქტი)

მიწერილობის გამცემი თანამდებობის პირი: გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის [illegible] [illegible] - [illegible] სამმართველოს [illegible] ნინო [illegible]
(თანამდებობა, სახელი, გვარი)

თანამდებობის პირის ხელმოწერა: ნ. [illegible]

ადმინისტრაციული მიწერილობის მიმღები (ივსება პირდაპირი ჩაბარების შემთხვევაში):

[illegible]
(რეგულირების ობიექტის წარმომადგენელი პირი, მისი ხელმოწერა და თარიღი)

გარდაბნის მუნიციპალიტეტში განთავსებული, შპს „გარდაბნის გამწმენდი ნაგებობა“-ს (ს/კ 203828313) კუთვნილი, ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციაზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 27 აგვისტოს №2-770 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (2009 წლის 19 ივნისის №65 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა) გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის გეგმიური შემოწმებისას გამოვლენილი დარღვევების აღმოფხვრისათვის, **შპს „გარდაბნის გამწმენდი ნაგებობა“ ვალდებულია:**

1. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის** ვადაში შეიმუშაოს მონიტორინგის (თვითმონიტორინგის) სრულყოფილი გეგმა, რომელშიც განხილული იქნება საქმიანობის განხორციელების პროცესში გარემოს კომპონენტებზე ზემოქმედების ყველა ფაქტორი და ობიექტი, მონიტორინგის სიხშირე, მეთოდები და ღონისძიებები, მათ შორის ჩამდინარე წყალში ქლორიდების კონტროლის საკითხები და უზრუნველყოს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში შესათანხმებლად წარდგენა (2009 წლის 16 ივნისის №65 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის **პირველი პირობა**). შემდგომში, **საქმიანობის განხორციელების პროცესში მუდმივად** უზრუნველყოს სააგენტოსთან შეთანხმებული მონიტორინგის (თვითმონიტორინგის) გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულება;
2. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 2 (ორი) თვის** ვადაში უზრუნველყოს საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროცესში გარემოზე შესაძლო ნეგატიური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების გეგმის შემუშავება და სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში შესათანხმებლად წარდგენა (2009 წლის 16 ივნისის №65 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის **მე-2 პირობა**). შემდგომში უზრუნველყოს სააგენტოსთან შეთანხმებული შემარბილებელი ღონისძიებების გეგმის შესრულება;
3. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს **2 (ორი) თვის ვადაში** უზრუნველყოს, „ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების პროექტის“ **ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით შემუშავება და შესაბამის უფლებამოსილ ორგანოში** (სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო) შესათანხმებლად წარდგენა. შემდგომ, საქმიანობის განხორციელება მუდმივად უზრუნველყოს შეთანხმებული ზდჩ ნორმების პროექტის შესაბამისად (2009 წლის 16 ივნისის №65 ეკოლოგიური ექსპერტიზის **დასკვნის მე-7 პირობა);**
4. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს **4 (ოთხი) თვის ვადაში** დეპარტამენტში განსახილველად წარმოადგინოს ჩამდინარე წყლების სრული ბიოლოგიური გაწმენდის მიზნით (აზოტისა და ფოსფორის შემადგენლობის შემცირების გათვალისწინებით) **შემუშავებული ღონისძიებების გეგმა-გრაფიკი;**
5. ჩამდინარე წყლების დასაშვები ჩაშვების დონის გადაჭარბების შემთხვევაში ინფორმაცია წარუდგინოს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, გარემოზე ზემოქმედების შეფასების

ანგარიშის და შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული ზდჩ ნორმების პროექტის შესაბამისად.

ვინაიდან, გამოვლინდა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით და ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფაქტი, კერძოდ, დადგინდა, რომ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში წარმოდგენილი ინფრასტრუქტურა არ შეესაბამება ტერიტორიაზე არსებულ ფაქტობრივ მდგომარეობას (იხ. მიწერილობის დანართი 1) და არ შეესაბამება გამწმენდი ნაგებობის მუშაობის ტექნოლოგიურ რეჟიმს, შპს „გარდაბნის გამწმენდი ნაგებობა“ ვალდებულია ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 4 (ოთხი) თვის ვადაში** მიმართოს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით განსაზღვრული შესაბამისი პროცედურების გავლის მიზნით.

**2024 წლის 16 ივლისის №002688 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1**

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 2023 წლის 17 ოქტომბრის №DES32300000143 და 2023 წლის 6 ნოემბრის №DES02300000177 ბრძანებების საფუძველზე, დეპარტამენტის უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ, განხორციელდა გარდაბნის მუნიციპალიტეტში განთავსებული, შპს „გარდაბნის გამწმენდი ნაგებობა“-ს (ს/კ 203828313) კუთვნილი, ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციაზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 27 აგვისტოს №2-770 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (2009 წლის 19 ივნისის №65 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა) გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის გეგმიური შემოწმება.

**შემოწმების შედეგად გამოვლინდა შემდეგი დარღვევები:**

1. 2009 წლის 16 ივნისის №65 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის **პირველი პირობის** შესაბამისად, კომპანიამ არ უზრუნველყო **სრულყოფილი გარემოსდაცვითი მონიტორინგის** (თვითმონიტორინგის) გეგმის შემუშავება და შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან გეგმის შეთანხმება. კერძოდ, მონიტორინგის (თვითმონიტორინგის) გეგმაში არ არის განხილული, საქმიანობის განხორციელების პროცესში გარემოს კომპონენტებზე ზემოქმედების ყველა ფაქტორი და ობიექტი (გეგმაში მოცემულია მხოლოდ ჩამდინარე წყლების მონიტორინგის საკითხები), სიხშირე, მეთოდები და ღონისძიებები;
2. 2009 წლის 16 ივნისის №65 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის **მე-2 პირობის** შესაბამისად, კომპანიამ არ უზრუნველყო საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროცესში გარემოზე შესაძლო ნეგატიური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების გეგმის შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმება;
3. 2009 წლის 16 ივნისის №65 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის **მე-7 პირობის** შესაბამისად, კომპანიას არ აქვს დაცული 2020 წლის 23 იანვარს სამინისტროსთან შეთანხმებული, ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმები. როგორც ჩატარებული ლაბორატორიული კვლევით და კომპანიის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის კამერალური დამუშავებით დადგინდა, ჩამდინარე წყლის ნიმუშებში ფიქსირდება დამაბინძურებელი ინგრედიენტების  და ნივთიერებების (E-coli, ჟბმ5, საერთო აზოტი და საერთო ფოსფორი) სამინისტროსთან შეთანხმებულ ზდჩ-ს დადგენილ ნორმებთან მიმართებაში გადამეტების ფაქტი. შესაბამისად დადგინდა, რომ არ ხდება ჩამდინარე წყლების სრული ბიოლოგიური გაწმენდა, აზოტისა და ფოსფორის შემადგენლობის შემცირების გათვალისწინებით. ამასთან, კომპანიის მიერ წარმოდგენილი მასალებით დგინდება, რომ კომპანია არ ახორციელებს ქლორიდების კონტროლს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშისა და კომპანიის მიერ შემუშავებული ჩამდინარე წყლების ხარისხის მონიტორინგის (თვითმონიტორინგის) დოკუმენტის შესაბამისად;

4. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის და 2020 წლის 23 იანვარს სამინისტროსთან შეთანხმებული ზდჩ ნორმების პროექტის შესაბამისად, 2023 წელს, ჩამდინარე წყლების დასაშვები ჩაშვების დონის გადაჭარბების შემთხვევების შესახებ ინფორმაცია კომპანიას არ წარუდგენია სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოსთვის.

ასევე გამოვლინდა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით და ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფაქტები. კერძოდ:

- გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშით გათვალისწინებულია 10 ერთეული პირველადი რადიალური სალექარი და 10 ერთეული მეორადი რადიალური სალექარი. ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ რეაბილიტაცია გაუკეთდა და ექსპლუატაციაშია **5 რადიალური სალექარი,** რომელიც **ასრულებს, როგორც პირველადი, ასევე მეორადი რადიალური სალექარების ფუნქციას;**
- გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად, არ არის მოწყობილი ქვიშის მოედნები ასფალტ-ბეტონის ფუძეზე (განთავსებულია გრუნტზე) და არ არის მოწყობილი ხელოვნური დრენაჟი. ასევე, არ ხდება ქვიშის ტენიანობის განსაზღვრა. ქვიშის მოედნების ფუნქციას ასრულებს კლასიფიკატორი;
- რადიალურ სალექარში წარმოქმნილი ლამის მართვის პროცესი არ მიმდინარეობს გზშ ანგარიშის შესაბამისად. კერძოდ, გზშ ანგარიშის თანახმად, 10 რადიალურ სალექარებში დარჩენილი ლამი, ტუმბოების მეშვეობით, ლამსადენი მილით, გადაიქაჩება ლამსაყრელ მოედნებზე, თუმცა ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ ხუთივე (111-112-113-114-115) რადიალურ სალექარში დალექილი ლამი (აქტიური ლამი) ერთი მხრივ, გადაიტუმბება კომბინირებული ქვიშის და ცხიმდამჭერ ავზებში, ბიოლოგიური გამწმენდის პროცესის გასააქტიურებლად და მექანიკური გამწმენდის ეფექტურობის გასაუმჯობესებლად, ხოლო მეორე მხრივ, ლამი გადაიტუმბება ცილინდრულ შემასქელებელში (ობიექტი 260);
- გზშ-ს ანგარიშში ასახული ქვიშადამჭერის, ასევე აეროტენკის ნაცვლად, მოწყობილია კომბინირებული აეროტენკები, რომლებიც ასრულებს მათ ფუნქციას;
- ლამის სტაბილიზაციის უბნის მოდერნიზაციის შედეგად მოწყობილია ლამის აერობული სტაბილიზატორი;
- ლამის შემასქელებელი უბანი, ბიოფილტრით, მოეწყო 2018 წელს, თუმცა ბიოფილტრი არ არის განხილული გზშ ანგარიშში;
- ახალი, ღია, გამყვანი 200 მეტრიანი არხი მოწყობილია ძველი გამყვანი არხის მიმდებარედ, თუმცა მისი განთავსების ადგილი არ არის განხილული გზშ ანგარიშში;
- გზშ ანგარიშის შესაბამისად, ტერიტორიაზე არ არის მოწყობილი საქლორატორო და თხევადი ქლორის გამოყენება არ ხდება ჩამდინარე წყლების გაწმენდის პროცესში, მათ შორის საკონტაქტო არხში (გამყვანი არხი);

- აერობული სტაბილიზატორი მოეწყო ძველი არსებული ღია ბუფერული რეზერვუარის საფუძველზე;
- გამწმენდ ნაგებობას გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშით გათვალისწინებული 90 ჰა-ს ნაცვლად, უკავია 98 ჰა (987 958 $მ^2$) ფართობი (გარდაბნის გამწმენდი ნაგებობა განთავსებულია გარდაბნის მუნიციპალიტეტში, №8.15.30.103 საკადასტრო კოდით განსაზღვრულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე);

ასევე გამოვლინდა, რომ გამწმენდი ნაგებობის მთელ ტერიტორიაზე, 2018 წელს, მოეწყო სარწყავი სისტემა, რომელიც განკუთვნილია გამწვანებისთვის. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის II დანართის 1.3 პუნქტის შესაბამისად, "სამელიორაციო სისტემის მოწყობა და ექსპლუატაცია" ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა. ამასთან, დადგინდა, რომ შპს "გარდაბნის გამწმენდი ნაგებობას" არ მიუმართავს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოსთვის სკრინინგის განცხადებით, სამელიორაციო სისტემის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დადგინდა, რომ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში წარმოდგენილი ინფრასტრუქტურა არ შეესაბამება ტერიტორიაზე არსებულ ფაქტობრივ მდგომარეობას და გამწმენდი ნაგებობის მუშაობის ტექნოლოგიურ რეჟიმს. ამასთან, ინსპექტირების შედეგად ასევე დადგინდა, რომ გზშ ანგარიშში წარმოდგენილი გამწმენდი ნაგებობის ინფრასტურქტურა - ნედლი ლამისა და ჭარბი აქტიური ლამის რეზერვუარი, ლამიანი წყლის რეზერვუარი, მეთანტენკები, გაზგოლდერები, სატუმბო სადგური, არ ფუნქციონირებს და ითვლება ობიექტის დაუმთავრებელ ნაწილად.

ინსპექტირების შედეგად გამოვლენილ დარღვევებზე, 2024 წლის 4 მარტს, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის $79^8$ მუხლის პირველი ნაწილის და $79^7$ მუხლის პირველი ნაწილის, ასევე ნარჩენების მართვის კოდექსის 43-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №081276 ოქმი, რომელიც განსახილველად გადაეგზავნა გარდაბნის მაგისტრატ სასამართლოს.

სასამართლომ, 2024 წლის 10 აპრილის №4-85-24 დადგენილებით, კომპანია სცნო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის $79^7$ მუხლის პირველი ნაწილით, ამავე კოდექსის $79^8$ მუხლის პირველი ნაწილით და ნარჩენების მართვის კოდექსის 43-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებაში და სახდელის სახით შეუფარდა ჯარიმა - 7 000 ლარის ოდენობით. დღეს არსებული მდგომარეობით, დადგენილება შესულია კანონიერ ძალაში.

**2024 წლის 16 ივლისის №002688 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1**

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 46-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ადგენს გონივრულ ვადას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულებისთვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „გარდაბნის გამწმენდი ნაგებობა“-ს მიმართ შემუშავდა დეპარტამენტის 2024 წლის 16 ივლისის №002688 ადმინისტრაციული მიწერილობა.